

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy
LTD Community College Natali Academy



NATALI ACADEMY
NATALI GROUP

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები

ვამტკიცებ
შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali academy
დირექტორის ბრძ. № 51 04.11.2022

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

შესავალი

შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy“ აფასებს საკუთარ შრომით რესურსს, რისთვისაც მუდმივად ცდილობს შექმნას საქმიანი, უსაფრთხო, კომფორტული და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემო და სივრცე.

მიზანი

შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy“ მიზანია დასაქმებულებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სამუშაო/სასწავლო ადგილისა და მთლიანი სამუშაო სივრცის უარყოფითი ასპექტებისგან დაცვის სისტემის შექმნა, რისთვისაც მუდმივად ეცდება ორგანიზაციის რესურსი მიმართოს, საშიშროებისა და რისკების გამოვლენა-შეფასების მექანიზმების დანერგვის, პრევენციული ღონისძიებების გატარებასა და მათ საფუძველზე ნეგატიური შემთხვევების თავიდან აცილებისთვის.

შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy“ მიზანია პრაქტიკაში დანერგოს და დაიცვას შრომის უსაფრთხოების ნაციონალური და საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები.

გავრცელების სფერო

ეს პოლიტიკა ვრცელდება შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy“ ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და თანამშრომელზე, პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებზე, მათ შორის კონტრაქტორებსა და ქვეკონტრაქტორებზეც.

პოლიტიკის დებულებები

შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy“ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

- დასაქმებულის, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ჯანმრთელობა და სიცოცხლე უპირატესია კომერციულ ინტერესებზე;
- ნებისმიერ ინდივიდს აქვს უფლება იმუშაოს და ისწავლოს უსაფრთხო პირობებში;
- დასაქმებულებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე შრომის უსაფრთხოებისა და მათი დაცვის საკითხების გადაჭრა.

შრომის უსაფრთხოების დაცვის ორგანიზება

შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy“ შრომის უსაფრთხოების საკითხებს განიხილავს კომპლექსურად, რისთვისაც უზრუნველყოფს:

- უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო პირობებს;
- დასაქმებულთა და სტუდენტების/მსმენელების მუდმივ სწავლებას შრომის უსაფრთხოების საკითხებში;
- მოწყობილობა-დანადგარების უსაფრთხოებას - სამუშაო ადგილების, სასწავლო გარემოს სისტემატიურ კონტროლს;
- შენობა-ნაგებობების უსაფრთხოებას;
- საწარმოო/სასწავლო პროცესების უსაფრთხოებას;
- პერსონალს/სტუდენტებს/მსმენელებს ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებებით;

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy
შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები

- სამუშაო/სასწავლო და დასვენების რეჟიმის ოპტიმალურ გადანაწილებას;
- დანადგარების/მოწყობილობების პერიოდულ შემოწმებას, შეფასებას;
- პროფესიული დაავადებებისა და უბედური შემთხვევების ობიექტურ გამოძიებას;
- პერსონალის შეფასებას შრომის უსაფრთხოებისა და დაკავებული თანამდებობით შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებულ ცოდნა-უნარების შეფასების მიზნით;
- შრომის უსაფრთხოების დაცვის კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვას, ტრავმატიზმისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით.
- თითოეულ თანამშრომელს სამუშაო და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციით, მათი სამუშაო ადგილისა და შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით, როგორც საწარმოო (სილამაზის მომსახურება), ისე ადმინისტრაციული პოზიციების მიხედვით.

ინსტრუქცია უნდა მოიცავდეს:

- შრომის უსაფრთხოების საერთო მოთხოვნებს;
- უსაფრთხოების ნორმებს სამუშაოს დაწყების წინ;
- უსაფრთხოების ნორმებს სამუშაო პროცესში;
- უსაფრთხოების ნორმებს სამუშაოს დასრულებისას.

პოლიტიკის მიღწევის მეთოდები და მიზნები

პოლიტიკის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- უბედური შემთხვევებისა და ნეგატიური მოვლენების თავიდან აცილება;
- პერსონალის, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის ზიანის მიყენების რისკის შემცირება;
- სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო გარემო-პირობების შექმნა;
- პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება შრომის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში;
- სამუშაო/სასწავლო უსაფრთხოების მუდმივი გაუმჯობესება;
- ინფორმაციის ოპერატიულად მართვის უზრუნველყოფა ადეკვატური გადაწყვეტილების მისაღებად, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში.

ამ მიზნების მისაღწევად შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy“ გეგმავს:

- განახორციელოს ყველა ხელმისაწვდომი და პრაქტიკულად მიზანშეწონილი ღონისძიება ავარიული სიტუაციებისა და ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს პერსონალის, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ჯანმრთელობას და, თუ ისინი მოხდება, მიიღოს ზომები მათი შედეგების შესამცირებლად, მათი ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვისთვის;
- მოითხოვოს პერსონალისგან, პროფესიული სტუდენტებისგან/მსმენელებისგან და კონტრაქტორებისგან შესაბამისი სტანდარტების, საწარმოო და უსაფრთხოების სხვა ნორმების დაცვა;
- დაიცვას უსაფრთხოების ზომების მოქმედი წესები და რეგულაციები;
- აწარმოოს მუდმივი მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, გააუმჯობესოს სამუშაო/სასწავლო პირობები;
- უზრუნველყოს შესასრულებელი ამოცანებისთვის საკმარისი უსაფრთხო აღჭურვილობა;
- უზრუნველყოს პერსონალის/სტუდენტების/მსმენელების აქტიური მონაწილეობა უსაფრთხოების ზომების დანერგვასა და დაცვის საკითხებში;
- შექმნას უსაფრთხო სამუშაო/სასწავლო ადგილები;
- საწარმოო/სასწავლო პროცესების უსაფრთხოების ეფექტური პროცედურების მომზადება და დანერგვა.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy
შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები

დასკვნითი დებულებები

„შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy“-ს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ პოლიტიკის განხორციელებასა და უსაფრთხოების მიზნების მისაღწევაზე.

შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy“ -ს ხელმძღვანელობა პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისგან/მსმენელებისგან ითხოვს:

- უსაფრთხოების ნორმების დაცვას;
- ქმედებებისა და ზრუნვის მაღალ ხარისხს, საკუთარი და გარშემომყოფთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

შრომის უსაფრთხოების პროცედურები

I. შესავალი

შპს „საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy“-ის (შემდეგში „დაწესებულება“) შრომის უსაფრთხოების პროცედურები შემუშავებულია სამუშაო სივრცეში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის, რომელიც ეფუძნება საქართველოს კონონმდებლობას და დაწესებულების შრომის უსაფრთხოების პოლიტიკას.

შრომის უსაფრთხოების პროცედურები მოიცავს:

- დაწესებულების შესახებ ინფორმაცია;
- დაწესებულების მენეჯმენტის ფუნქცია-მოვალეობები და სტრუქტურა;
- რისკების შეფასება და მართვა;
- პერსონალის სწავლება;
- უბედური შემთხვევების მოკვლევა;
- პროფესიული დაავადებების პრევენცია და მოკვლევა;
- საგანგებო სიტუაციები და ევაკუაცია;
- მონიტორინგი და კონტროლი;
- დანართები

II. დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

კომპანიის დასახელება	შპს „საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy“
საიდენტიფიკაციო ნომერი	404441895
დაწესებულების მისამართი	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71
დირექტორი	ნატალია თოლორაია
დირექტორის ტელ.	577 507 097
შრომის უსაფრთხოების მენეჯერი.	გიორგი ბარნოვი
შრომის უსაფრთხოების მენეჯერის ტელ.	597410044

III. მენეჯმენტის ფუნქცია-მოვალეობები და სტრუქტურა

დაწესებულების დირექტორი

დაწესებულების შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის დირექტორი:

- უზრუნველყოფს წინამდებარე შრომის უსაფრთხოების პროცედურების დაწესებულების ყველა თანამშრომლამდე დაყვანას.
- გეგმავს და აკონტროლებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ძირითად ღონისძიებებს.
- უზრუნველყოფს შრომის კოდექსითა და შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონით დამსაქმებლისთვის წაყენებული მოთხოვნების დაცვას.
- ამტკიცებს ინსტრუქციებსა და სხვა დოკუმენტებს.
- ახორციელებს რისკების საერთო მენეჯმენტს.
- აკონტროლებს დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან დისციპლინის დაცვას.
- უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაოებისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით პერსონალის აღჭურვას.
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა დამცავი საშუალებების შეცვლას.
- უზრუნველყოფს ობიექტს პირველადი დახმარების საშუალებებით.
- დაწესებულების ბიუჯეტში ითვალისწინებს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.
- უზრუნველყოფს პერსონალისთვის სავალდებულო ტრენინგების ჩატარებას.
- სამუშაო პროცესში პერსონალისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში უზრუნველყოფს ზიანის ანაზღაურებას.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

დაწესებულების უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი:

- ახორციელებს დაწესებულების პერსონალის მიერ უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის კონტროლს;
- დაწესებულების მენეჯმენტისთვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს;
- მონაწილეობს საფრთხეების იდენტიფიცირებასა და რისკების შეფასებაში;
- უზრუნველყოფს სამუშაო სივრცეში ინციდენტების რეგისტრაციას, მოკვლევას და ინციდენტების გამომწვევი მიზეზების დადგენას და შესაბამისი ზომების მიღებისათვის რეკომენდაციებისა და მითითებების შეიმუშავებას;
- საფრთხის შემცველ სივრცეში შესასვლელზე და საფრთხის შემცველ ადგილებზე (ელ. გამანაწილებელი კარადა და სხვა) ათავსებს გაფრთხილების/შეზღუდვის/აკრძალვის შესაბამის ნიშნებს;
- უზრუნველყოფს საევაკუაციო გეგმის შეიმუშავების ორგანიზებას და სიზუსტის კონტროლს;
- უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორად გამოყენების კონტროლს;
- უზრუნველყოფს კომპანიის შრომის უსაფრთხოების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების პერიოდულ განახლებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ახორციელებს კანონმდებლობით სავალდებულო ტრენინგების ორგანიზებასა და დოკუმენტირებას;
- ამზადებს და წარადგენს შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;
- ზრუნავს საფრთხის შემცველი ფაქტორების აღმოფხვრასა და შემცირებაზე;
- ახორციელებს ობიექტების ყოველდღიურ მონიტორინგს;
- აკონტროლებს რისკის შემცველ სამუშაო ადგილებზე მხოლოდ იმ პერსონალის დაშვებას, რომელთაც აქვთ გავლილი სათანადო ტრენინგი/ინსტრუქტაჟი;
- უზრუნველყოფს, რომ ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ მყოფი პერსონალი, ობიექტზე არ იქნენ დაშვებულნი;
- ახორციელებს ინციდენტების მოკვლევას პროცედურებს.
- უზრუნველყოფს, მუდმივ მონიტორინგს, პროგრესის ანალიზს და სხვადასხვა ეტაპზე ანგარიშის მომზადებას;

სწავლების მენეჯერი

დაწესებულების უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის:

- განსაზღვრავს სასწავლო კაბინეტებსა და პროცესის პირობების თანხვედრას შესასრულებელ სამუშაოსთან, ახდენს ვიზუალურ დათვალიერებას საფრთხეებისა და რისკების გამოვლენის მიზნით;
- საქმიანობის დაწყებამდე პერსონალს/სტუდენტებს გააცნობს შესასრულებელი სამუშაოს თავისებურებას და სპეციფიკას.

სამედიცინო მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი

- განსაზღვრავს ობიექტებზე პირველადი დახმარების ყუთის განთავსების ადგილებს;

- გააცნობს პირველადი დახმარების საშუალებების გამოყენების თავისებურებას და სპეციფიკას.
- უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების კომპლექტაციასა და ვარგისიანობის კონტროლს.

პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინსტრუქტორი

დაწესებულების უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის:

- ახორციელებს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების (შემდგომში „სტუდენტი“) მიერ უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის კონტროლს.
- სტუდენტებს აძლევს მითითებებს.
- მონაწილეობს საფრთხეების იდენტიფიცირებასა და რისკების შეფასებაში.
- მონაწილეობს უსაფრთხოების ღონისძიებების დაგეგმვაში.
- სტუდენტებს/მსმენელებს ყოველდღიურად უტარებს წინასამუშაო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს, რაც გულისხმობს ცნობილი უსაფრთხოების წესებისა და მოვალეობების შეხსენებას, კონკრეტული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით მითითებების მიცემას, წესების დაცვის მნიშვნელობაზე, აღჭურვილობის შემოწმებაზე, მობილიზებასა და ყურადღებაზე აქცენტის გაკეთებას.

სასწავლო სტუდია-სალონის ადმინისტრატორი

სასწავლო სტუდია-სალონის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის:

- ახორციელებს პერსონალის, სტუდენტების/მსმენელების მიერ უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის კონტროლს.
- პერსონალს და სტუდენტებს აძლევს მითითებებს.
- მონაწილეობს სასწავლო სტუდია-სალონის საფრთხეების იდენტიფიცირებასა და რისკების შეფასებაში.
- მონაწილეობს სასწავლო სტუდია-სალონის უსაფრთხოების ღონისძიებების დაგეგმვაში.
- აკონტროლებს კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის აღჭურვილობისა და იდს-ს გამართულობას და უსაფრთხოებას.
- აუცილებლობის შემთხვევაში სამუშაოების დაწყების წინ, შესაბამის პერსონალს/სტუდენტებს/მსმენელებს უტარებს სპეციალიზირებულ ინსტრუქტაჟებს.
- საქმიანობის დაწყებამდე სპეციალისტებს საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს/მსმენელებს გააცნობს შესასრულებელი სამუშაოს თავისებურებას და სპეციფიკას.
- რისკის შემცველ სამუშაო ადგილებზე უშვებს მხოლოდ იმ პერსონალს/სტუდენტს/მსმენელს, რომელთაც აქვთ გავლილი სათანადო ტრენინგი/ინსტრუქტაჟი;
- უზრუნველყოფს, რომ ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირი, ობიექტზე არ ინქნენ დაშვებულნი;
- შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევაზე ახდენს სათანადო რეაგირებას და სანქციების შესახებ შუამდგომლობებს აწვდის დაწესებულების დირექტორს ან/და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს.

IV. რისკების შეფასება და მართვა

დაწესებულება განახორციელებს აკადემიაში არსებული რისკების საერთო შეფასებას, როგორც მინიმუმ წელიწადში ერთხელ. რისკების საერთო შეფასება ასევე მოხდება, უსაფრთხოების ახალი მოთხოვნების ან ახალი პროგრამების/პროცედურების დანერგვის შემთხვევაშიც.

რისკების შეფასებისას მოხდება, როგორც კონტროლის მიმდინარე ღონისძიებების გაწერა, ასევე შემდგომში განსახორციელებელი/გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განსაზღვრა, ნარჩენი რისკები განსაზღვრა.

სამუშაოთა უმეტესობის შემთხვევაში ხდება ზოგადი რისკების თვისობრივი შეფასება. რისკების შეფასებას ახორციელებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან ამ მიზნით დირექტორის განკარგულებით შექმნილი სპეციალური ჯგუფი. საჭიროების შემთხვევაში რისკების შეფასების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოწვეული სპეციალისტის დახმარება.

რისკის შეფასების პროცესი განსაზღვრავს:

- რა არის საფრთხე?
- ქმნის თუ არა საფრთხე რისკს?
- რამდენად მნიშვნელოვანია ეს რისკი?
- დასაშვებია თუ არა რისკი?
- თუ დაუშვებელია რისკის დონე, კონტროლის რა ზომების მიღება შეიძლება მის დასაშვებ დონემდე შესამცირებლად.

ყოველი კონკრეტული საშიშპირობებიანი სამუშაოს დაწყების წინ პერსონალი ან/და შესაბამისი ჯგუფი განახორციელებს საფრთხეებისა და რისკების შეფასებას სპეციალური კითხვარის მეშვეობით. მომეტებული საფრთხის აღმოჩენის ან რისკის მაღალი დონის შემთხვევაში სამუშაო პროცესი არ დაიწყება შესაბამისი კონტროლის პროცედურების განხორციელებამდე - საფრთხის აღმოფხვრამდე ან რისკის მინიმალურ დონეზე დაყვანამდე.

V. პერსონალის სწავლება

დაწესებულების მენეჯმენტი სამუშაოზე უშვებს მხოლოდ მომზადებულ, კომპეტენტურ პერსონალს, რომელთა მომზადება ხორციელდება, როგორც საერთო უსაფრთხოების წესებში, ასევე კონკრეტული სამუშაო პროცედურების უსაფრთხოების საკითხებში. შესასრულებელი სამუშაოს ტიპის ან ფორმის ცვლილების შემთხვევაში ხდება პერსონალის შესაბამისი გადამზადება.

ტრენინგების და ინსტრუქტაჟების ჩამონათვალი:

- დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და უსაფრთხო შრომის პრინციპები - წელიწადში ერთხელ;
- სახანძრო უსაფრთხოება - 6 თვეში ერთხელ;
- სამუშაო მოწყობილობების გამოყენება - წელიწადში ერთხელ ან ახალის დანერგვისას მათ გამოყენებამდე;
- ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები - წელიწადში ერთხელ;

- პირველადი გადაუდებელი დახმარება სამ წელიწადში ერთხელ;
- საწარმოო სანიტარია და ჰიგიენა, პროფესიული რისკები და მათი თავიდან აცილების მექანიზმები - წელიწადში ერთხელ.

ინსტრუქტაჟი დოკუმენტირდება სპეციალურ ფორმაში/ჟურნალში, რასაც ხელმოწერით ადასტურებს ინსტრუქტაჟის მონაწილე ყველა პირი.

VI. უბედური შემთხვევის მოკვლევა

დაწესებულებაში უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზანია ინციდენტის გამომწვევი მიზეზების დადგენა, უბედური შემთხვევების პრევენცია. მოკვლევას აწარმოებს დირექტორის განკარგულებით შექმნილი ჯგუფი, ინციდენტის დადგომიდან არა უგვიანეს 24 საათში. ჯგუფი განახორციელებს შემდეგ პროცედურებს:

- დაზარალებული პირისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა და შემდგომი საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ზომების მიღება;
- ინციდენტის გამომწვევი სავარაუდო მიზეზის განსაზღვრა და მიზეზის/წყაროს იზოლაციისთვის ან ლიკვიდაციისთვის უსაფრთხოების ზომების მიღება;
- მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევებისას, კომპეტენტური საგამომიებო ორგანოების წარმომადგენელთა მოსვლამდე, უბედური შემთხვევის ადგილის შემოფარგვლა და უცვლელად შენარჩუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუცილებელია ზომების მიღება პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.
- საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევის ადგილის დათვალიერება და ფოტოგადაღება;
- თვითმხილველთა იდენტიფიცირება.
- თვითმხილველთა გამოკითხვა;
- პერსონალის და ექსპერტების ინფორმაციის შესწავლა;
- ფოტომასალის, სქემების, გეგმების და სხვა მტკიცებულებების შესწავლა;
- სამუშაო/საწარმოო/სასწავლო გარემოს პირობების ანალიზი;
- უბედური შემთხვევის გამომწვევი ფაქტორების დადგენა;
- გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმის გაფორმება.

VII. პროფესიული დაავადებების პრევენცია და მოკვლევა

დაწესებულების მენეჯმენტი პროფესიული დაავადებების პრევენციის მიზნით:

- უზრუნველყოფს დაცვისა და კონტროლის სისტემების, მათზე ფაქტორების გამანეიტრალებელი აღჭურვილობების უწყვეტ და გამართულ ფუნქციონირებას;
- უზრუნველყოფს კაბინეტების, სამუშაო ადგილების აღჭურვას შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით;
- უზრუნველყოფს პერსონალის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვას;
- უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავესა და ტექნიკური გამართულობას;

- უზრუნველყოფს რისკის შემცველი სამუშაო ადგილებზე მომუშავე პერსონალის/სპეციალისტების წინასწარ და პერიოდული (წელიწადში ერთხელ) სამედიცინო შემოწმების ჩატარებას;
- წელიწადში არანაკლებ ორჯერ ჩატარებს ჩატარებს გარემოს ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების შემოწმებას;
- მუდმივად იზრუნებს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრაზე, ამისათვის გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს;
- განახორციელებს პროფესიული დაავადების აღრიცხვასა და მოკვლევას.
- მწვავე ან ქრონიკულ პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ექვის მიტანის შემთხვევაში, შესაძლო პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზ(ებ)ის დადგენის მიზნით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი უზრუნველყოფს პროფესიული დაავადების მოკვლევას, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დარგის სპეციალისტების მოწვევას.

დაწესებულების მენეჯმენტი გაატარებს შუს/მოწვეული სპეციალისტების მიერ განსაზღვრულ, პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისა და პრევენციის ღონისძიებებს.

VIII. საგანგებო სიტუაციები და ევაკუაცია

სტუდენტების, მსმენელების, პერსონალის სიცოცხლის გადარჩენა არის პრიორიტეტი.

გადარჩენის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტური მეთოდი არის ევაკუაცია.

საგანგებო სიტუაციების მზადყოფნისთვის დაწესებულება:

- განსაზღვრავს პირობებს, როდესაც ევაკუაცია ხდება აუცილებელი;
- განსაზღვრავს მითითებებისა და ბრძანებების თანმიმდევრობას;
- განახორციელებს პერსონალის სათანადო სწავლებას;
- პერსონალს განუსაზღვრავს ევაკუაციის გზებსა და თავშეყრის ადგილს;
- თვალსაჩინო ადგილებზე განათავსებს გამაფრთხილებელ ნიშნებს, საავარიო განათებებს და საევაკუაციო გეგმებს;
- უზრუნველყოფს საევაკუაციო გასასვლელებისა და შესაბამისი ნიშნების ინტენსიურად შემოწმებას;
- ნიშნავს კომპეტენტურ პირს, ვინც განახორციელებს საევაკუაციო ღონისძიებების მართვას.

ავარიული და საგანგებო სიტუაციებისას:

- ჩერდება სამუშაო-სასწავლო პროცესი;
- დაუყოვნებლივ ხდება დაწესებულების სივრცის დატოვება, საევაკუაციო გეგმის მიხედვით;
- ხდება შესაბამისი სამსახურების დაუყოვნებლივი ინფორმირება (112);
- დაზიანებულ პირებს გაეწევათ პირველადი გადაუდებელი დახმარება;
- ტერიტორიაზე აღმოჩენილი გარეშე პირებისთვის, ასევე მათთვის ვინც შესაძლოა არ იცოდნენ საევაკუაციო პროცედურები, ხდება დახმარების აღმოჩენა - ტერიტორიიდან გაყვანა;
- ევაკუირებული პირების შეკრება ხდება საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ თავშეყრის ადგილზე;

- სახანძრო-სამაშველო სამსახურებს მოსვლისთანავე გადაეცემა აკადემიის გეგმა-ნახაზები და მიეწოდება ყველა საჭირო ინფორმაცია.

IX. მონიტორინგი და კონტროლი

დაწესებულების მენეჯმენტი უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების სისტემატურ მონიტორინგსა და კონტროლს. გაანალიზებული და შესწავლილი ინფორმაციის ხასიათისა და ჩატარების დროის მიხედვით, მონიტორინგი არის: აქტიური (გამაფრთხილებელი) და რეაქციული (საპასუხო).

აქტიურ (გამაფრთხილებელ) მონიტორინგში შედის:

- დაკვირვება შრომის უსაფრთხოებასა და ჰიგიენაზე, სამუშაო/სასწავლო გარემოს უსაფრთხოებაზე;
- სისტემატიური შემოწმებები არსებული პირობების, ჯანმრთელობის დაცვის, შრომის უსაფრთხოების სისტემის ფუნქციონირების კუთხით.

რეაქციულ (საპასუხო) მონიტორინგში შედის:

- ინციდენტებისა და პროფესიული დაავადებების კვლევის შედეგების ანალიზი;
- შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი შედეგების, ინსტრუქციების ხარვეზების ანალიზი;
- უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანალიზი.

კონტროლი ხორციელდება ყოველდღიურად და პერიოდულად ყოველკვარტლურად.

ყოველდღიურ კონტროლს განახორციელებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, სწავლების მენეჯერი და სასწავლო სტუდია-სალონის ადმინისტრატორი.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ყოველდღიურად მოწმდება:

- სამუშაო ადგილების, სათავსების, საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობა;
- ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების არსებობა და სწორი გამოყენება;
- წინასამუშაო ინსტრუქტაჟებისა ჩატარება;
- წინა შემოწმებების დროს გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად ჩატარებული ღონისძიებებისა და მითითებების შესრულება;
- პერსონალი/სტუდენტების/მსმენელების მიერ შრომის უსაფრთხოების საერთო მოთხოვნების შესრულება.

სწავლების მენეჯერის/ადმინისტრატორის მიერ ყოველდღიურად მოწმდება:

- სასწავლო-სამუშაო გარემოს უსაფრთხოება და პერსონალი/სტუდენტების/მსმენელების მიერ იდს გამოყენების წესების დაცვა;
- პერსონალი/სტუდენტების/მსმენელების მიერ შრომის უსაფრთხოების საერთო მოთხოვნების შესრულება.

ყოველკვარტლური შემოწმება ხორციელდება დირექტორისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების ან დირექტორის განკარგულებით შექმნილი ჯგუფის მიერ. ყოველკვარტლური კონტროლისას მოწმდება:

- ყოველდღიური კონტროლის ორგანიზება და შედეგები;

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy
 შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები

- დაწესებულების დირექტორის განკარგულებებისა და უსაფრთხოების ინსტრუქციების შესრულება;
- მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების მოკვლევის შესრულება;
- მოწყობილობების/პროცესების გამართულობა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- შრომის და სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა დაცვა.
- დამცავი, სასიგნალო, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებისა და მოწყობილობების არსებობა და მათი მდგომარეობა;
- ინსტრუქტაჟის ჩატარების დროულობა და ხარისხი;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არსებობა და მათი გამოყენების სისწორე;
- დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა;
- შრომის უსაფრთხოების თვალსაჩინო ნიშნები არსებობა და მათი მდგომარეობა.

ყოველკვარტლური კონტროლისას გამოვლენილი ნაკლოვანებები ფიქსირდება შესაბამის დასკვნაში, აღნიშნული დასკვნის საფუძველზე განისაზღვრება გასატარებელი ღონისძიებები, მათი შემსრულებლები და შესრულების ვადები.

შემოწმებისას გამოვლენილი ისეთი დარღვევების/ხარვეზების შემთხვევაში, რომლებმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს პერსონალის/სტუდენტების/მსმენელების ჯანმრთელობას ან გამოიწვიოს არასასურველი შედეგი, საქმიანობა წყდება ამ დარღვევების აღმოფხვრამდე.

X. პროცედურის დამტკიცება, ცვლილებები.

1. დაწესებულების შრომის უსაფრთხოების პროცედურებს ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი.
2. შრომის უსაფრთხოების პროცედურები, ექვემდებარება მოდიფიცირებასა და ცვლილებებს, უსაფრთხოების კუთხით არსებული პრაქტიკის გაანალიზების, ან/და საკანონმდებლო რეგულაციების ან/და ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე;
3. ეს დოკუმენტი სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის.

დანართი #1
 რისკების შეფასების დოკუმენტი

ობიექტის დასახელება	
ობიექტის მისამართი	
დოკუმენტის დამტკიცების თარიღი	
დოკუმენტის ცვლილების თარიღი	
პასუხისმგებელი პირები	დირექტორი - შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი -

აქტივობა/პროცესი/სამუშაოს სახეობა	ვინ იმყოფება რისკის ქვეშ

რისკების შეფასების პრინციპები, მეთოდოლოგია, კონტროლის მექანიზმების იერარქია

სცენარი/ პროცედურა	საფრთხეები	პოტენციური ზიანი	რისკების კონტროლის არსებული ზომები	რისკის დონე	რისკების კონტროლის დამატებით გასატარებელი ზომები	რისკის დონე დამატებითი კონტროლის შემთხვევაში

რისკის მატრიცა

		პოტენციური შედეგები					
		უზნიშნელო დაზიანებები ან დისკომფორტი. არასამედიცინო ჩვენებები	დაზიანება, რომელიც საჭიროებს მკურნალობას	დაზიანება, რომელიც საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას	დაზიანება/ტრავმა, რომელიც პერმანენტულად უარესდება	ფატალური შემთხვევა	
		უზნიშნელო	ნაკლებად მნიშვნელოვანი	ზომიერი	მნიშვნელოვანი	მძიმე	
ალბათობა	მოსალოდნელია, რომ ნორმალურ სიტუაციაში რეგულარულად მოხდეს	დიდი ალბათობა	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი
	მოსალოდნელია, რომ ზოგჯერ მოხდეს	სავარაუდო	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი
	შეიძლება მოხდეს იშვიათად	შესაძლებელი	დაბალი	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი
	სავარაუდოდ არ მოხდება გარკვეული დროის მანძილზე	ნაკლებად სავარაუდო	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო	მაღალი
	შესაძლოა ოდესმე მოხდეს, მაგრამ დიდი ალბათობით არასდროს მოხდება	იშვიათი	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი	საშუალო